01-24

შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის 2015 წლის 13 ნოემბერს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2023 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი (ს/კ 202374251 მის: ქ. თბილისი გმირ კურსანტთა ქ. N1) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბერიკა შუკაკიძის სახით და მეორე მხრივ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (მის: ქ. ბათუმი ლადო გუდიაშვილის ქ. N4) წარმოდგენილი მინისტრის მაია ხაჯიშვილის სახით ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს შორის 2015 წლის 13 ნოემბერს გაფორმებულ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმში და მემორანდუმის მე-10 მუხლის მე_7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„7. მემორანდუმი ძალაშია 2024 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს 2026 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით“

2. შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე.
3. მემორანდუმის სხვა დებულებები დარჩეს უცვლელად.
4. შეთანხმება წარმოადგენს მემორანდუმის ნაწილს და განიხილება მასთან ერთად.
5. შეთანხმება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

მხარეთა ხელმოწერები:

| სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრი | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო |
|---|---|
| დირექტორი | მინისტრი |
| ბერიკა შუკაკიძე | მაია ხაჯიშვილი |